№ 144. 24 ივლისი, ოცვირა. 1866 –1883 24 ივლისი, ოცვირა. № 144.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე ოთ. შუხრან ბატონის სახლში, ბალაბანის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: въ Тифлисъ, въ редакцию «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიღებულ-ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ. ОБЪЯВЛЕНІЯ
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეაკოკლებს და! აბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ-ლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს საგტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

რადგანაც ორშაბათს სტამბა დაკეტილი იქნება, აჰის გამო სამშაბათს ნომერი არ გამოვა.

ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა გულითადის მწუხარებით აცნობებს რა საზოგადოებას თავის მეუღლის, «დროების» უწინდელის რედაქტორის სერგეი სვიმონის ძის მესხის გარდაცვალებას, უმორჩილესათა სთხოვს განსვენებულის მოდვაწეობის თანამგრძნობელთ მობძანდენ მისის გვამის მიწასთან მისაბარებლად ორშაბათს, 25 ივლისს ქ. ქუთაისს და იქიდამ სოფ. რიონს.

«დროების» რედაქცია ამით აცხადებს, რომ კვირას, 24-ს ივლისს, დილის 10 საათზედ გადაიხდება ჰანაშვიდი ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ კალოუბნის ეკლესიაში ახლად გარდაცვალებულის «დროების» ეფოილის რედაქტორის **სერგეი მესხის** მოსახსენებლად. რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს სერგეი მესხის თანამგრძნობელთ მობრძანდენამ ჰანაშვიდზედ.

რედაქციისაგან.

დღეს, როდესაც სერგეი მესხის გვამი ჯერ-კიდევ საფლავში არ ჩასვენებულა, სხვაზედ ვერაფერზედ ვახერხებთ ლაპარაკს, თუ არ იმ კაცზედ, რომელმაც ჩვენს გაზეთს ზედ შეალია თავის ყმაწვილ-კაცობა და რომლის ცხოვრება მტკიცედ შეკავშირებულია «დროების» ისტორიასთან. ჩვენი გაზეთი რომ ხორციელი ადამიანი იყოს და ყოველ ჟამს მოვალეობად არ აწვეს საქვეყნო საქმეებზედ ზრუნვა, დღეს ცხარე ცრემლით უნდა ეტირნა ის კაცი, რომელსაც იმდენი ამაგი აქვს მასზედ, რასაც თავის დღეში მოსიყვარულე დედაც კი ვერ დასდებს თავის დედის-ერთა საყვარელ შვილს. ჯერ კიდევ შორს არ არის ის დრო, როდესაც სერგეი მესხმა მკითხველებს გამოსალმება მიმართა, ის გამოსალმება, რომელიც ჩვენ უკანასკნელ გამოსალმებად არ მივითვალეთ და მისთვის გამართულ სადილზედ ერთხმად ყველამ გამოვუცხადეთ სურვილი საქვეყნო ასპარეზზედ კიდევ მშვიდობით დაბრუნებისა; მაგრამ თითქო გულმა უგრძნო სერგეი მესხს და მის გამოსალმებაში ისმოდა ისეთი სიტყვები, რომელნიც პირ-და-პირ გულსახვდებოდენ და გვანიშნებდენ, რომ ეს გამოსალმება, მართლა საუკუნო გამოსალმება იყო თავის საყვარელ მკითხველებთანაც და თავის ერთგულ გაზეთთანაც!

მაშინ, იმ გამოსალმების დროს, წარმოითქვა და დაიბეჭდა მრავალი სიტყვა, რომელიც თვალ-წინ გვიხატავდა სერგეი მესხის თავ-განწირულ, პატიოსანს შრომას, დაუღალავად, ფეხ-და-ფეხ მიდევნას და ბრძოლას ათას გაჭირებასთან, მხოლოდ იმისთვის, რომ იმისგან ფეხზედ დაყენებულ გაზეთს არაფერი გაჭირვება არა ეგრძნო-რა და ყოველივე ტანჯვა-წვალება, ამ გაჭირებისაგან წარმოდგარი, მარტო ერთს კაცს თავზედ დასტყდომოდა. ამდენის ხნის მოუსვენარის და უმადურის შრომისათვის სერგეი მესხს ჯილდოდ ერგო მხოლოდ ის, რომ ეხლა მთელი ქართველი საზოგადოება, რომელსაც კი კარგისა და კეთილისადმი თანაგრძნობა გულიდამ არ გაჰქრობია, ჩვენთან ერთად გულ-წრფელად ამბობს:

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო მშრომელო და საზოგადოებისთვის გულ-შემატკივარო მამულის-შვილო!

სერგეი მესხი გარდაცვლილა უეცრად აბას-ტუმანში, 21 ივლისს, სამის ნახევარზედ, შუადღის უკან, გულის ანევრიზმით. მის გვამს ზეკარაზედ გადაიტანენ, ორშაბათს, 25 ივლისს, ქუთაისში მიასვენებენ და იქიდამ მიწასთან მისაბარებლად წაასვენებენ მიცვალებულის სამშობლო სოფელს რიონს, ქუთაისის ახლო. დასაფლავებისათვის რამდენიმე პირნი ქვირას აპირებენ ქუთაისს წასვლას.

თუმცა ქალაქში ქართველობა ბევრი აღარავინ არის, მაინც რაკი გაისმა სერგეი მესხის გარდაცვალების ამბავი, ბევრნი მოვიდნენ «დროების» რედაქციაში თავიანთ მწუხარებისა და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

პროვინციიდამ რამდენიმე ტელეგრამა მოვიდა რედაქციაში, რომლებშიაც გამოცხადებულია გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა პატიოსანის მოღვაწისა და მის ოჯახისადმი; სხვათა შორის ბბ. ნ. მესხიევისაგან, ნ. დიასამიძისაგან, ჩვენის ბათუმელ კორესპონდენტის მჭედლიშვილისაგან და სხვ.

ახალი ამბები.

პირველის აგვისტოდამ რკინის გზის გამგეობა შესცვლის მატარებლების სიარულის წესს. ეს წესი უფრო უწინდელს ეგვანება. ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იქნება,—რამდენს საათზედ შვა და გავა მატარებელი ჩვენს უმთავრესს ქალაქებში.

ჩვენ ვნახეთ ახალს ორთ.ლითმოქმედ ფეხში გამომცხვარი პური. ეს პური თვალთათვისაც და გემოსათვისაც ძალიან კარგია. გამომცხვარიც უფრო თანაბრად არის, ვიდრე ჩვენს ფურნესა და და თორნეებში. თუ ფასიც პატარა დაუკლეს ჩვეულებრივს მაზანდაზედ, იმედია, ქალაქის ხალხი ამ პურს შეეჩვიოს.

გაზეთები ამბობენ, რომ მერეის ქავკასიაში შემოღებული იქნება სამხედრო—ცხენების გარდასახადი, ე. ი. სამხედრო საჭიროებისათვის ცხენების გაყვანა. ამ შემთხვევაში, როგორც სამხედრო მინისტრისაგან არის გამოცხადებული, ცხენი ხუთის წლისა მაინც უნდა იყოს და რა ფერისა იქნება, ან რა სქესისა, ამაზედ არ მიაქცევენ ყურადღებას.

ბათუმიდამ გვწერენ: საშინელი სიბინძურე სუფევს ბათუმის ნაწილში, რომელსაც «ნურია» ჰქვიან სახელად. ამ ნაწილის თავში იკვლება მთელის ბათუმის ყასბების საკლავი, აქვე მთე-

«დროების» ტელეგრამა, 24 ივლისი.

სერგეი მესხის სახელს.

აგერ, დაეცა სისხლ-გამშრალი, ძვალ-გაფიტული,
მამულისათვის განწირული და წამებული!
ის სისხლს წვეთობით აბეურებდა თავის მამულსა,
ვიდრე უდროოდ განუტეკდა უმანკო სულსა!...

მადლო სულო, უმანკოო, კეთილშობილო,
ძლიერის შრომით სამშობლოსთვის აწ დამსობილო!
დიდია დაკარგული, შენი დაკარგული სისხლით მოგებული...
ბევრმა ინატროს, ვერ დაკლას თვის მამულს შვილი!

შენ განგვიმტკიცე ნამდვილ კაცის დანიშნულება:
იცისრე ტვირთი დიად მძიმე და შესრულება
მტკიცედ იტვირთე, ვიდრე მკერდში გიძგერდა გული
და უძლურს ტანში ვიდრე ჭეშეოქდა ძლიერი სული!

თოთხმეტი წელი, გულ-ლვიძლით მწველი,
შენ განატარე,
შენი გაზეთი, როგორც შვილი, გულზედ ატარე!...
დროო, კაცთ შუადღისგან იტანჯვიდი ხშირად მართალი,
რომ აღგედგინა მადალი ზნე და სამართალი!

აწ კი დაგტოვე!... გული სისხლს სწვეთს, სულს კი უსრის,
რომ კაცი კაცად აღესრულე... თუმცა მწუსრის
ბესლითა დაგგმობთ, უსაშველოდ, შავსკრულს სიკვდილსა,
რაიც უდროოდ მამულს სტაცებს საყვარელს შვილსა!

ადარ გვუკვს სათნო, წმიდა სული ცით მონაბერი!
უმაგალითო ამ დროს შვილის თვალ-წინ გვაქვს მტვერი!...
სულის სინათლით, გულ-მართალად, ვით შვილმა, მამულს
თავი შეაკლა!... საუკუნო სახელი ტანჯულს!

და თქვენ, მომძენო, საყვარელნო ივერიელნო,
ბირს მოდიმარნო, მაქებელნო, სიმართლის მცველნო,
რით დაუთვასეთ თავ-განწირვით შრომა და ტანჯვა?—
მით, რომ გულმტკივნად თქვენი «ოხვრა» სამარეს ჩაჰყვა?!

ა. ცაგერელი.

22 ივლისს.

სერგეი მესხის სახსოვრად

«მიდის მოდის ეს სოფელი
ქარ-ტალღილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ყამი,
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.

ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს,
რასა სოიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსს,
სულ ბნელია, რასაც ელავს.»

დ. გურამიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ქალაქი ჰყრის ნაგავს და ყოველ სიბინძურეს; აქვე ჰყრიან ცხენებისა და სხვა ოთხფეხების მძოვრებს. ამ ბოლოს დროში ცხენების ავად-მყოფობა გაჩნდა. ვისაც ცხენი მოუკვდება, დროგზე დასდებს და «ნურიაში» მიაქვს გადასაგდებლად. ერთის სიტყვით «ნურიაში» ისეთი საძაგელი სუნი სდგას, რომ «ქრისტიან ადამიანს არ გაევლება», როგორც იტყვიან ჩვენში. საშინლად გვიკვირს, რომ ამ ანტი-სანიტარულს მოვლენას ყურს არავინ უგდებს. იქიდგან წარმოსდგება, რომ პოლიციელები, რომელთ მოვალეობაც ის არის, რომ სისუფთავესაც უყურონ ქუჩებში, დღისით ბახუსის ალერსს უნდებიან და ღამე საზოგადო სახლებში მცხოვრებთან ნეტარებას და ქეიფს. ამ სახლების წინ რომ დაუშტვინო ღამის ათზე ან თერთმეტ საათზე, ბუზებივით გამოიშლებიან პოლიციელები, თითქო აქ იყოს მათი სამსახური. ამათი მოვალეობა არის აცნობონ ვისაც ჯერ არს ის გარემოება, რომ «ნურიაში» დახოცილის ცხენების და სხვა სიბინძურის სუნი ხოლერას კი არა, იმერლებისა არ იყოს, «ჟამსაც» გააჩენს. ძარგი იქნება, რომ «ძავკაზი» გადაბეჭდავდეს ამ ამბავს, მაგრამ ის უფრო ოტსტავნოი ჩინოვნიკების ღილებს და კაკარდებს აქცევს ყურადღებას, ვიდრე ამისთანა საქმეებს.

— თბილისში მოსულა რუსის ენტომოლოგი (მწერების მცნობი) პორჩინსკი, რომელმაც უნდა გაიცნოს. ადგილობრივ ფილოქსერასაგან და სისხლის ჭიისაგან მოტანილი ზიანი. პორჩინსკი ჯერ სოხუმში მიდის და მერე ისევ თბილისში დაბრუნდება.

«დროების» კორესპონდენცია.

სოფელ ჭალა, 4-ს მკათათვის.

ამილახვრიანთ ლეხურა
ჭალაზეა მეტად თხელი,
მოგლიჯდა მაღლა—მდორეთი
თან მოაქვს მიწა და მტვერი;
კასპის ჭალა ჩაიარა,
უცბად გადახვია ხელი,
რაცა დარჩა, სული წალეკა
აადინა ზურგზედ მტვერი.

აი ის ლექსი, რომელსაც ყოველ ჟამს ღიღინებს ლეხურის ხეობის კაცი. ლეხურის ხეობა იყო და ეხლაც იქნება იყოს ერთი საუკეთესო ხეობათაგანი. სადაც ერთი და ორი ხეობა დაიკვეხნებს რასაც უნდა იყოს, იქ ლეხურის ხეობაც არაფრით არ ჩამოუვარდება; მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ბუნება კი ამდიდრებს მშვენიერს წალკოტს, და მებაღეები—მამულის პატრონები კი აოხრებენებენ. აგერ რამდენი წელიწადია, რაც ლეხურის ხეობაზედ აქაურმა მემამულეებმა ხიზნები დაასახლეს და ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რა დღესაც დააყენებდენ ეს ხიზნები ამ მშვენიერს ხეობას. მე დავიარე მთელი ლეხურის ხეობა და თვალები მეტკინა მისი გაოხრება და გაჩანაგება რო ენახე...

მამულის მეპატრონეები თითო თუმანს (წელიწადში) დახარბებიან და იმაზედ კი აღარ უფიქრნიათ, რა საუკუნო საუნჯესა ჰკარგავენ. თითო თუმანს რომ ვერა უქნია-რა მამულის პატრონებისათვის, ეხლა ზოგიერთ მათგანს რაღაც ახალ-ახალი გადასახადი მოუგონიათ, ეს ორი მუშა კომლზედაო, ეს გუთანიო, ეს ურმით ძნის ზიდვაო და სხვ. ზოგიერთებს ჯერ კიდევ არ მოშორებიათ ტანიდამ ბატონ-ყმობის სერი მათრახსაც აღარ დასჯერებულან, ჯოხისათვის მიუმართავთ და ვინც კი ურჩობის გაწევას განიზრახებს, ჯოხით ემუქრებიან. ზარდასახადი ბევრიკი დაუდვიათ გლეხზედ,—წყალსა ხმარობთ, მინდორსაო, ტყესა, ქვასა, ქვიშასა, ღრესა, აღმასა, დაღმასაო და სხვ. წყალმა კი რა მოგახსენოთ! როგორც არ მომკლავთ, ლეხურის კალაპოტში ეხლა თქვენ წყალს ველარ იპოვნით, დასალევსაც კი. მაშ რა იქნაო? იკითხავთ. სამი ნაკადული, როგორც ლაპარაკობდენ, თუ ოთხი ამა და ამ თავადიშვილს მიუდის ვენახში, ორი ნაკადული მეორეს, ერთი ნაკადული მესამეს და სხვ.; ერთის სიტყვით წყალს სულ თითონ ხმარობენ ამ გაჭირებაში და ბეგარას კი ადებენ. საწყალი სამთავისელები (რომელნიც ჭალას ქვემოთა სდგანან) ყოველისფერ ბეგარას აძლევენ და დასალევი წყალი კი არა აქვთ ერთი წვეთი (გარდა ფშნისა). მებატონეებმა თითომ ორასის თუმნის კომბოსტო უნდა გაჭყიდოს და საწყალ კაცს კი ერთი ცვარი წყალი უნდა ენატრებოდეს.

(ამას გარდა მებატონეებს ბოლოს დროს ქვიშისა და ქვისათვისაც ფასი დაუდვიათ: ქვიშა ერთი ურემი ღირს აბაზი; ქვაც აგრეთვე. მხოლოდ სამღვდელო წოდებისა და ეკლესიის მოსამსახურენი არიან ამ მახტიდამ ამოშვებულნი.)

რუსეთი

«Русскій Курьеръ», აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, თუ რამდენი უსამართლობა ჩაიდინეს ოლქის სასამართლოებმა უმაღლესის მანიფესტის გაუგებრობის გამო. მაგალითებრ, მოსკოვის ოლქის სასამართლოს მთლად მოუსპია ორის გულადის ინჟენერის საქმე—უზენაესი და სვეტნიცკისა,—რომელთაც შარშან ამ გაზეთის რედაქტორი და გამომცემელი ლანინი თავის სახლის კარებზედ კინალამ მოჰკლეს; და მათგან შეტანილი საჩივარი კი ლანინზედ, რომელმაც, ვითომ ბეჭედით შეურაცხყოფა მიაყენა, სწარმოობს. «Курьеръ»-ის» რედაქციას საჩივარი პალატაში გადუტანია და ვნახოთ პალატა როგორ-ღა გაიგებს უმაღლეს მანიფესტს.

— იგივე გაზეთი მწარე შესხმას უძღვნის პალაშკოვსკის, იმ პალაშკოვსკის, რომელიც ამას წინედ ბლეფ უსპენსკიმ ნობელთან ერთად შეიტანა რუსეთს გაცარცვა-რა-ზე ბრძანდებიან. საქმიდამ სჩანს, რომ ბაქოსა და ბათუმის რკინის გზები, რომელნიც ხაზინას სამოც მილიონზედ მეტი დაუჯდა, პალაშკოვსკის მარტო თავისთვის გაუყვანინებია. ჯერ ბაქოს გზა ისეთ უდაბნოებზედ გაიყვანეს, რომ ნავთის მეტი იმითა სხვა არაფერი მოიტანება და პაშლაკოვსკის ისე მოუწყვია საქმე, რომ ამ გზით თითქმის მირტო მისი საკუთარი ნავთი იზიდება. ერთს ნავთის პატრონს 150,000 ფუთი ნავთი ჰქონდა თურმე გადმოსატანი; საცოდავი თეზედ მეტი უწვალებიათ და მერე მაინც ათას ფუთზედ მეტი არ გადმოუტანიათ.

— რუსეთის ერობანი თავიანთ უფლების რაიონის გაფართოებას ელოდენ, მაგრამ, როგორც გვატყობინებს «მოსკოვის უწყებები», რომელსაც შეძლება აქვს ყოველთვის შეიტყოს მართებლობის ნამდვილი განძრახვა და სურვილი, ერობის უფლებას კიდევ ცოტა რამ მოაკლდება. მაგალითებრ, ერობამ ამას იქით თურმე, მინამ სხდომები გაიმართებოდეს, გუბერნატორს უნდა წარუდგინოს არამც თუ სია ყველა იმ საგნებისა, რომელნიც სხდომებზედ უნდა იქნენ განხილულნი, დაწვრილებით ერობის გამგეობის მოხსენებანიც ამ საგნებზედ. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ერობა მთლად ხორც-მეტად შეიქნება რუსეთისთვის და დღეს, თუ ხვალ უნდა მოისპოს.

— ის ხმები, რომ ვითომც ყირიმში მთლად მოესპოთ ფილოქსერა, საუბედუროდ, ტყუილი გამომდგარა. ახალ გასინჯვის შემდეგ სოფელ მუხალატკის ვენახებში კიდევ აღმოუჩენიათ გაძლიერებული ფილოქსერა.

— ის კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს გადასინჯვა სამოქალაქო კანონებისა და ახალის პროექტის შედგენა ამ კანონების შესახებ, და

ჩვენში ლიტერატურის მეტად მძიმე უღელს. ლიტერატორი, ნამეტნავად ჩვენის დროისა, იგივე მეომარია ბრძოლის ველზედ გასული, რომელიც ყოველ დღე მკაცრად ებრძვის ყველას და ყველაფერს, რაც საზოგადოების კეთილ-დღეობას ხელს უშლის, სიმართლეს და ჭეშმარიტებას სცარავს და საფრთხეებს უშენებს. რასაკვირველია, რამდენიც უფრო მეტი ამხანაგები გიდგანან მხარში, იმდენი უფრო მეტს გაბედულობას და ძალას ჰგრძნობ. «ძმა მაშინ მოგაგონდება, ხუთნი რომ გცემდენ მარტოსა!» მღერიან ერთს გლეხურ ლექსში.

დიალ, მე ვაპირობდი ამ საგანზედ გამეგრძელებინა დღევანდელი საუბარი, მაგრამ ხუთშაბათს ტელეგრაფმა ისეთი მოულოდნელი და სამწუხარო ამბავი მოგვიტანა, რომ მთლად შეცვალა ჩვენი საკვირაო მასლაათების

კილოც და საგანიც. ამ სამის თვის წინედ დროებით გამოვეთხოვეთ, გზა დავულოცეთ ჩვენის გაზეთის უწინდელს ერთგულს ლალას, თავ-განწირულს მუშაკს, რომელსაც თოთხმეტის წლის თავ—აუღებელმა შრომამ დაუშრიტა ცხოვრებითი ძალა და დაუძლურა. ზამოვესალმეთ და გავისტუმრეთ დაუვიწყარი სერგეი დასასვენებლად და ახალის ძალის შესაკრებად.

მაშინ ყველა იმ იმედით ვნუგეშობდით, რომ რამდენიმე ხნის უკან ისევ ჩვენს წრეში დაბრუნდებოდა და თავისებურად ერთგულად და პატიოსნად განაგრძობდა იმ შრომას, რომელსაც სიყმაწვილიდამვე სიყმე შეაკლა. სჩანს მისი დღეები დათვლილი ყოფილა. ამიერიდამ ველარ ვნახავთ ჩვენს ტკბილს, თავ-დაბალს და ზრდილს სერგეის. დაჯერებული ვართ, რომ, ვისაც ჩვენის სამშობლოს სი-

---

კეთე ახარებს და ბოროტი ამწუხარებს, ჩვენთან ერთად გულ-წრფელად იგლოვებენ ამ პატიოსანის მოღვაწის დაკარგვას, რომელსაც ერთი იმდენის გაკეთება კიდევ შეეძლო, რაც გაუკეთებია, სიკვდილს რომ ესე არ მოესწრაფებინა. მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ დღეს საუკუნოდ ფანსვენებულის სერგეი მესხის ცხოვრებას, ბევრს სანუგეშოს ამოვიკითხავთ მისის სამაგალითო ცხოვრების დღიურის ფურცლებში და ეს სანუგეშო აქარვებს ჩვენს გოდებას. როდესაც გამოსასალმებელ სადილზედ უკანასკნელად დაჯდა ჩვენში განსვენებული სერგეი და ეუყურებდით მის მიხრწნეულს და წამებულს სახეს, თან ტანჯვით გული მეწკრიტებოდა, თანაც—ეს თუნდა ფანატიკობაში, თუნდა უარეს რასმეში ჩამომართვით—სიხარული და სიამოვნება მიელავდა გულში. იმ დღეს თვალ-წინ მიდგა

ჩემის სამშობლოს შვილი, რომელსაც ნება-ყოფლობით კისრად ედო წმინდა ტვირთი ქრისტესი, ეტარებინა ერთგულად და პატიოსნად, მინამ ძალა შესწევდა და ეხლა, ოთხად მოჩანგული და დაუძლურებული, მაინც ბედს არ ემდურებოდა. დიალ, საოცარი და მასთან სასიხარულო იყო ჩემთვის ამისთანა კაცის ნახვა მაშინ, როდესაც კაცის ზნეობითი და გონებითი სიმაღლე, მთლად მისი პიროვნება ფასდება გარეგანის ნიშნებით, ე. ი. ჩინებით, ორდენებით და სიმდიდრით; როდესაც ყველა ცრუპენტელა, ენა მოქნილი მთელი თავისი სიცოცხლე ლაქლაქობს და თავის უმიზნოდ და უნაყოფო ცხოვრების თრევას იმითი ამართლებს, რომ, ვითომც, ჯერ მისთვის ასპარეზი არ მომზადებულა და ჟამს არ მოულწევია. თავი და თავი მიზეზი ჩვენის დაცემისა და განადგურებისა,

რომელშიაც საუკეთესო იურისტები იღებენ მონაწილეობას,—მისადმი მინდობილ საქმეს თურმე 1884 წლის ზაფხულამდე ვერ გაათავებს.

—რადგან შეეიცარიის მმართებლობას არ გამოუგზავნია განსაკუთრებული ელჩი მოსკოვში ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ, ამის გამო თურმე რუსეთის მთავრობა აპირობს მოსპოს თავის ელჩის ადგილი ბერნში, შეეიცარიის მთავრობის წინაშე და დასტოვოს მხოლოდ კონსული.

უცხოეთი.

რუსინები გალიციაში.

17 ივნისს ლვოვში დანიშნულს «გეჩეზედ» იმდენი სალხი მოაწყდა გალიციის უველა კუთხეებიდამ, რომლის მეათედსაც არ მოელოდენ რუსინების პატრიოტები. სულ ექვს ათასზედ მეტი გეჩეზედ დასწრების მსურველი რუსი მოსულიყო იმ დღისათვის ლვოვში. გალიციის გაზეთები ამბობენ, რომ ამდენი რუსინები 1880 წელშიაც არა ყოფილა ლვოვში, როდესაც ავსტრიის იმპერატორი მობრძანდა გალიციის სანახავად. გეჩე გაიხსნა დღის ათ საათზედ ბ. დობრიანსკის სიტყვით, რომელიც თავმჯდომარედ იყო ამორჩეული. მართლა ეს ფაქტი, თქვა თავმჯდომარემ, რომ ერთმა დაძახებამ ამდენი ათასი სალხი შეჰყარა, რომელთაც არ დაუშურებიათ არც შრომა, არც სარჯი, ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენს სალხს უგრძნია თავისი გაწირვებული მდგომარეობა. ავსტრიის კონსტიტუცია სხვა სალხებთან ერთად გვაძლევს თანაბარს უფლებებს, მაგრამ ის უფლებები ქაღალდს არ გასცილებიან. განა ამორჩევა რომ სამართლიანად მომხდარიყო, ჩვენ, სამ მილიონ სალხს, მარტო სამი დეპუტატი უნდა გაეგზავნა რეიხსრატში? ეხლა ჩვენ შეგიყარენით გავსაჯოთ ჩვენი სამწუხარო მდგომარეობა და სამინისტროს შევატყობინოთ, რომ მისი პროგრამა, რომელიც ვითომ დაფუძნებულია ეროვნებათა უფლებების თანასწორობაზედ, საქმით არა სრულდება გალიციაში. მოწყალებას კი არა, ჩვენ ვითხოვთ სიმართლეს და უფლებას.» ამით გაათავა თავის მოკლე სიტყვა თავმჯდომარემ. იმის შემდეგ იდგა ინყინერმა ნაგორნიმ. ურიდობას წარმოუდგინა ბნელი სურათი გალატაკებულის გლეხ-კაცობის ცხოვრებისა, რომელსაც სარჯი და ათას ნაირი გადასახადი ეკლარ აუტანია. ნეტავი რაც ჩვენგან მიაქვთ, იმისი ერთი მეცხრედი ნაწილი მაინც ჩვენთვის რამე სასარგებლო საქმეს მოახმარონო, სთქვა ნაგორნიმ. სოფლებში რუსულ სკოლებს ან სულ არა ჰქონიან, ან თუ გასხნეს, უთუოდ სწავლა სამაგლად მიდისო, მაშინ, როდესაც სეიმი საკუთარად ბოლშევიკებისთვის ნახევარ მილიონ გულდენს გადასდებს ხოლმეო, ჩვენ მოწყალებასავით გადმოგვიგდებენ შვიდ ათასს გულდენს, ეს ფულიც რაღაც ფურცლების გამოცემაზედ იხარჯება, რომელთ აზრიც მხოლოდ ის არის, რომ ჩვენე ერთმანეთს წაგვიდოს და ჩვენს მოწინააღმდეგეთ უფრო გაუადვილდეთ ჩვენი დაჩაგვრა.....

გიმნაზიის მასწავლებელი ვახნიანინი შეეხო რუსების პოლიტიკურ მდგომარეობას,—ჩვენ უკანონოს არაფერსა ვითხოვლობთო და უველაფერი ჩვენი სათხოვარი სამართლიანიაო, სთქვა ვახნიანინმა. მართებლობამ ეველასთან თანასწორი უფლება მოგვანიჭა და პოლიაკებს კი ჭსურთ მთლად ჩვენის ეროვნების სინსილა გასწყვეტონო. ავსტრიის იმპერატორმა რუსინებს აღმოსავლეთის ტიროლელები დაგვარქო, ე. ი. ტასტის ერთგულნი უმანი და პოლიაკები კი ეველთვის ცდილობენ მართებლობის ურჩებად და მოღალატედ გამოგვეყვანონო....

რედაქტორმა ავდგოვსკიმ მოახსენა ურიდობას რა ოინებს სჩადიან პოლეშელი იეზუიტები მართლ-მადიდებელ გლეხების გასაფრანგებლად.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ორატორებმა იღაპარაკეს და გეჩემ განჩინება დაადგინა, რომლის უმთავრესი მუხლები შეეხება რუსინებისაგან გალიციის სარჯის ადგილობრივ საჭიროებებზედ დასარჯვას და სკოლების რეორგანიზაციას, ე. ი. სისტემის შეცვლას. რუსინები თხოულობენ ჩვენს სკოლებს უფრო სახელოსნო და სამეურნეო ხასიათი მიეცით და მარტო ანბანის სასწავლებელი ნუ იქნებო. გეჩე გათავდა საღამოს ხუთ საათზედ და იმოდენა სალხმა ბაირაღით წინ და სიმღერებით გასწია ბაღში, სადაც წინადვე მომზადებული სადილი ელოდათ.

საფრანგეთის პალატამ მიიღო შემდეგი წინადადება: ის დეპუტატი, რომელიც კი რომელსამე რკინის გზის გამგეობაში ადგილს მიიღებს, გადაყენებულად უნდა ჩაითვალოს და შეიძლება ხელ-მეორედ ამორჩეულ იქმნას. ეს წინადადება იმ აზრით არის მიღებული, რომ მოისპოს ეჭვიც კი დეპუტატების მიფერებით მოქმედებაზედ.

მეიოხველმა იცის, რომ ეს რამდენიმე ხანია ვენგრიის პატარა დაბა ტისა-ესლარში სწარმოობს საქმე ებრაელებისა, რომელთაც ბავშვის წვალებას აბრალებენ. მოწმების ჩვენება გათავებულა და შემდეგ იმისა პროკურორს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელითაც სრულიად ამართლებს ბრალდებულთ და ითხოვს მათს განთავისუფლებას. პროკურორის სიტყვის შემდეგ ულაპარაკნიათ ადვოკატს იმ ქალიშვილისს, რომლის ქალის მოკვლასაც ებრალებს აბრალებენ და ერთის ებრაელის ადვოკატს.

ინგლისის დეპუტატთა პალატაში მინისტრს დიდს წარმოუთქვამს, რომ წრეულს ევროპაში აზიურ ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

პეტერბურღი, 20 იელისს. გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევის შესახებ საქალაქო ბანკების დებულებისა. ახალი დებულება დიდ ყურადღებას აქცევს თვით ბანკის მართველობას; მაგალითად, დირექტორობა და მესამეანგებლობა არ შეუძლიანთ იმ პირთ, ვინც საქალაქო სამსახურში არიან, ან ვინც სხვა ბანკებში ემსახურებიან, არამც თუ ნათესავებს, ერთის და იმავე ფირმის წევრებსაც არ შეუძლიანთ ერთად ბანკში სამსახური. ბანკის ანგარიშს ყოველ წელიწადს შეამოწმებს ქალაქის რჩევისაგან ამორჩეული კომისია და თუ რაიმე უწესოებაზედ რომელიმე ხმოსანმა განაცხადა, ფინანსთა მინისტრს თანხმად შინაგან საქმეთა მინისტრისა შეუძლიან დანიშნოს მცოდნე პირთა რევიზია; შეიძლება რევიზია განგებაც დაინიშნოს. ბანკის ოპერაციების რიცხვი მომატებულია; ყოველის ბანკისათვის აპერაციების წესი ცალკე იქნება გამოცხადებული. ბანკის ვალდებულება ხუთჯერ მეტად არ უნდა აღემატებოდეს ძირისა და სათადარიგო ფულს; კასაში ფული მეათედი მაინც უნდა იყოს ბანკის ყოველ ვალდებულებისა. მიბარებით ფულის შენახვა ბანკებში შესაზღვრულია; მხოლოდ იმ ბანკების მიბარებულობის ბილეთები მიიღება გირაოდ სახელმწიფო საქმეებში, რომელთაც ფინანსთა სამინისტრო დრო გამოშვებით რევიზიას უშვრება. ბანკში და ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირთ შეუძლიანთ ისარგებლონ თამასუქებზედ კრედიტით მხოლოდ იმ ბანკებში, რომლებშიაც თამასუქების გამხილავი კომიტეტია და როდესაც ეს კომიტეტები ერთხმიურ გარდაწყვეტილებას დაადგენენ. ბანკების ახალი დებულება აღნიშნავს აგრეთვე რა უნდა მიეცეს სარგებლიან ქალაქებების, მამულების და შენობების გირაოში.

პარიზი. გუშინ შეტანილ-იქმნა პალატაში პროექტი ტუნისის ბეისთან ხელშეკრულობისა. ბეი თანხმდება, საფრანგეთის დარიგებისამებრ, შემოიღოს ფინანსის

ჩემის აზრით, ის არის, რომ ყველა—ბრალიანი და უბრალო—თავის თავს მიკროსკოპით უყურებს და თავის პაწაწკინტელა, არშინ ნახევრიანი ტანი სტრასბურგის სამრეკლოდ ეჩვენება. როდესაც უმრავლესობა საზოგადოებისა, მერე ის ნაწილი, რომელიც მეთაურად ითვლება, ამისთანა ყალბ მდგომარეობაში ჩავარდება და თავის თავს ამისთანა სიცრუით შეაქცევს, მაშინ იქ მუყაითი მუშა, საქმის კაცი აღარ არის და ყველა მუქთა მჭამელად და ქუჩების მტკეპნელად გადაქცეულა. ამ გარეწარს, ქარაფშუტა თავის-ტოლთ გროვაში სერგეი იშვიათს მოვლენას წარმოგვიდგენს: ის სხვასავით მზესა და მთვარეს არ ებღატებოდა, რომ მერე თავისი უსაგნო ცხოვრება ამისთანა საბუთით გაემართლებინა: რაექნა, რა გავაკეთო, რომ ჯერ მთვარეზედ კიბე არ გაუკეთებიათო? მან უარ-ჰყო პირადი კეთილ-დღეობა, ტკბილი ცხოვრება ამა სოფლისა და შესწირა თავი მეტად ძნელს, უჩინარს, უმადურს, მაგრამ მის სამშობლოსთვის ფრიად სასარგებლო საქმეს, რომელმაც, გაკიცხვისა და ლანძღვის მეტი, არც სიმდიდრე, არც პატივი და უბრალო მადლობაც არ მისცა მას. სერგეი კარგად ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას, მაგრამ გულს არ იტეხდა, მუშაობდა თავ-გამომეტებით, მინამ არ დაეცა გმირულად, როგორც მხედარი ბრძოლის ველზედ. ჩვენს ერთობ ზნეობა—წამხდარ საუკუნეში სერგეი (ჩვენს სამშობლოში, რასაკვრელია) თითქმის ერთად ერთი კაცი იყო, რომელიც მოღვაწეობდა საქმისთვის და არა ტაშისთვის. ვფიქრობ, რომ უკანასკნელ ჟამს მისი ნატვრა იყო:

„Чтобъ кто нибудь въ усердіи глупомъ
на гробъ цвѣтовъ не принесъ“.

მხოლოდ იმისთანა მოღვაწეთ შეუძლიანთ შექმნან კულტურა ხალხისა, დააყენონ ეროვნობის სანატრელი მომავალი მკვიდრს გზაზედ, ვისაც შეუძლიან ესე ხანგრძლივ და სისტემატიურად იშრომოს, როგორც სერგეიმ იშრომა ჩვენის ლიტერატურისათვის. სერგეის არა ჰქონდა ის «ზეცით მონაბერი» პოეტური ნიჭი, რომელიც ზოგიერთ რჩეულთ თავის ჭურჭლად ამოირჩევს ხოლმე და სიცოცხლითვე მიუძღვნის დაფნის გვირგვინებს. ის თოთხმეტი წელიწადი რედაქტორობდა «დროებას». თავის მეცადინეობით საკვირაო გაზეთი საყოველდღეო გაზეთად გახადა, თავის საუბედურად, და ამით დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურას. ისაც ერთი დღე მაინც არ გაუტარებია ქართულის ყოველ დღიურ გაზეთის რედაქციაში და,—თუ თითონ არ უშრომია, არ უყურებია მაინც რა ულვთო შრომას ეწევა გაზეთის რედაქტორი, იმას არ შეუძლიან მეასედი ფასი მაინც დასდოს განსვენებულის დიდ ღვაწლს და ამაგსა. ბაზვიადებული არ იქნება მოგახსენოთ, რომ ყველა ნომერში «დროებისა», რაც კი მის რედაქტორობით გამოსულა, თითო წვეთია ჩასხმული მისის არსებითის ძალისა. ესე თითო წვეთად დაშრა, თავს შემოევლო და მტლედ დაედო ჩვენს საზოგადო საქმეს, უბედური სერგეი. ეს, კიდევ მოგახსენებთ, ამ ბოლოს დროს უკანასკნელი მაგალითია ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავ-განწირვისა და თავის დროზედ თავის ნაყოფს მოიტანს. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება ჩვენში სამაგალითო მშრომელო, პატიოსანო კაცო და წამებულო სერგეი!

დავით სოსლან

საქმეების რეფორმები და იმის დაუთანხმებლად ვალი არსაიდგან აიღოს.

რუმი. ამბავი მოვიდა, რომ ცეცხლის-მფრქვეველი მთა ვეზუვი დიდძალ ლავას ისვრის ტორედელგრეკოსკენ. უკანასკნელის აღრიცხვიდამა სჩანს, რომ ისკიის კუნძულზედ ხუთი ათასამდე კაცი დალუპულა.

ვეტერბურღი, 21 იანვარს. ბირჟაზედ ხმა გავრცელდა, რომ ფეტისოვისა და კამვ.-ის ფირმა კოტრდებაო. ეს ფირმა ვაჭრობდა ჰერსა და სპირტსა.

ბარონ შტაკელბერგის მაგივრად დერპტის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად დანიშნულია დემიდოვის ლიცეის დირექტორი კაპუსტინი.

ოხტის წამლის ქარხნის აფეთქებაზედ შვიდი კაცი დაიღუპა; ზარალი ათას თუმანზედაც ნაკლებია.

გაზეთები გვატყობინებენ, რომ იმ კომისიამ, რომელსაც ჯარის სადგურების საქმე აქვს მინდობილი, მიიღო თხოვნა ქალაქისა და სოფლების საზოგადოებისა შესახებ სადგურების ფულის ერთის წლის წინად შეტანისა.

ნეაპოლი. იტალიის ხელმწიფემ თითონ გასინჯა ის ალაგები ისკიის კუნძულზედ, სადაც უბედურება მოხდა. მადალის-ხმით ხალხის თხოვამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ხელმწიფეზედ. მკვდარის სხეულების სუნი ჰაერს ეფუჭებს. ჯარი შეუსვენებლივ მუშაობს მხურვალე მზის ქვეშ და ბევრი ჯარის კაცი მზისაგან თავში დაკვრით ავათა ხდება. ერთი ოფიცერი და თერთმეტი სალდათი ალარსადა სჩანან. ამბობენ შენობების ნანგრევებს ქვეშ მოჰყვენო. გუშინ დედა-მიწა კიდევ შეიძრა და მიწის ქვეშიდამ ქუხილი ისმოდა.

ალექსანდრია. ხედივი და საზოგადოება კარანტინის დაცვას ითხოვს. ხოლერა როზეტაშიაც გაჩნდა, აბირში კი იკლო.

სტამბოლი. სმირნაში ხოლერით ორი კაცი გახდა ავად.

ნეაპოლი. ისკიის კუნძულზედ კიდევ ცხარე მუშაობაა, ნანგრევებიდამ მკვდრები გამოაქვთ; რამდენიმე კაცი ცოცხალი გამოიყვანეს. ხელმწიფემ კუნძულის შორეული ალაგები მოიარა, შესწი-100,000 ლირა მიწის-ძვრით დაზიანებულებს და მასუკან დაბრუნდა ნეაპოლში, სადაც ლაზარეთები გასინჯა. აქა ჰკონიათ, რომ ამ უბედურების მიზეზი იყო ნიადაგის ჩარეცხა თბილის წყაროებით და არა მიწის ძვრა.

ვეტერბურღი, 22 იანვარს. დღეს, ხელმწიფე იმპერატრიცის დღეობის გამო ქალაქი ფლაგებით შეიმოსა; დილის 10 საათზედ უმაღლესის სასახლის კარის კაცთა თანა-დასწრებით სობორში და უველა სასწავლებლებში დიდის ამბითა სწირეს. სასახლეში არავინ მიუღიათ. საღამოზედ, გუნძულებზედ ხალხი ქეიფობდა.

გუშინ პეტრე-პავლოვსკის სობოროში მათის დიდებულებისა და სხვა სახელმწიფო სასახლის წევრთა თანა-დასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი განსვენებულის იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა იმ გუბერნიის უფროსებს, სადაც კალია გაჩნდა, რომ წარადგინონ გამოცდილებით შეძენილი ცნობა, თუ როგორ უნდა გასწყვიტონ ეს მწერი შემდეგში და ყოველთვის დროით აცნობებდენ ხოლმე სამინისტროს, რა შედეგი მოჰყვა მასთან საბძოლველად მიღებულ საშვალებას.

კალია გაჩნდა ჩერნიგოვის გუბერნიაში, მაგრამ, რადგან მალე ზომა მიიღეს, პურებს ვერა დაიკლო რა.

პარიზი. პალატის სესია დაიხურა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში გლადსტონსა ჰკითხეს, მართლა ეგვიპტედამ გამოჰყავს ინგლისს ჯარები თუ არაო. გლადსტონს უპასუხნია, რომ პარლამენტს ეს საგანი მალე წარედგინება გასასინჯათაო. გლადსტონმა სთქვა აგრეთვე, რომ რადგან შესაძლებელია ინგლისში ხოლერა გაჩნდეს, უნდა ისეთი კანონიერი ზომები მივიღოთ, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ყველგან რიგიანად იმოქმედოსო.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |